ტურიზმის კვარტალური მიმოხილვა

საქართველო

ტურიზმის ინდიკატორები 2023 წელს

Research

გამოცემა 1 | აპრილი, 2024

შინაარსი

შეჯამება	
საერთაშორისო ტურიზმი	1
შიდა ტურიზმი	3
მთის კურორტები საქართველოში	4
გამყვანი ტურიზმი	5
სასტუმროს ფასები საქართველოში	6
ეკონომიკური ინდიკატორები HORECA სექტორში	7

შეჯამება

- **2023 წელს საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 2022 წელთან შედარებით 31%-ით გაიზარდა, თუმცა ჯერ კიდევ 20%-ით ჩამორჩება პანდემიამდელ დონეს. მოსალოდნელია, რომ 2024 წელს საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა 7.9 მილიონამდე გაიზრდება**. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საქართველოში ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით რამდენიმე ისეთი საერთაშორისო ღონისძიების განხორციელებაზე მუშაობს, როგორებიცაა ტურიზმის მსოფლიო დღე და M&I ფორუმი.[1]

- **საერთაშორისო ვიზიტების შემცირებული რაოდენობის მიუხედავად, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი აჭარბებს პანდემიამდელი პერიოდისას**, რაც შესაძლოა, გამოწვეული იყოს ვიზიტების ხანგრძლივობის ზრდით. მოსალოდნელია, რომ 2024 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2023 წელთან შედარებით 10%-ით გაიზრდება და 4.5 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს.[2]

- **2023 წელს საქართველოში შიდა ტურიზმი პანდემიის შემდეგ შენარჩუნებული ტრენდის შესაბამისად განაგრძობს ზრდას.** თუმცა ბოლოდროინდელი დინამიკის სიზუსტეზე შეიძლება გავლენა მოახდინოს იმან, რომ რუსი, ბელარუსი და უკრაინელი ემიგრანტების დიდი რაოდენობა მოიაზრება არა საერთაშორისო ვიზიტორებად, არამედ რეზიდენტებად.

- **2023 წელს გასვლითი ვიზიტების რაოდენობა 2022 წელთან შედარებით 33%-ით გაიზარდა.** ვიზიტორთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დანიშნულების ადგილად თურქეთი (43%), სომხეთი (15%), ევროკავშირი (14%) და რუსეთი (12%) აირჩია. გასვლითი ვიზიტების ძირითადი მიზანია საყიდლები (35%), რაც დანახარჯების ზრდაზეც აისახა.

მთის კურორტები საქართველოში

- **2023 წელს საქართველოს მთის კურორტებზე საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა სრულად არ აღდგენილა.** უცხოელი ტურისტების ძირითადი ნაწილი გუდაურს ესტუმრა (მთის კურორტებზე ჯამური ვიზიტების 71%).

- **საქართველოს მთის კურორტებზე შიდა ვიზიტების რაოდენობა შიდა ტურიზმის ზრდის ტემპს მისდევს.** ადგილობრივი ვიზიტორების უმეტესობა მთის კურორტებიდან ბაკურიანს ირჩევს.

- **2023 წელს საქართველოში სასტუმროების საშუალო ფასმა 2022 წელთან შედარებით დაიკლო.** უპირველეს ყოვლისა, ეს კლება 5-ვარსკვლავიან კატეგორიაში ფასების შემცირებამ განაპირობა. შედარებით დაბალბიუჯეტიანი სასტუმროების საშუალო ფასები კი გაიზარდა.

საერთაშორისო ტურიზმი





- **2023 წელს საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 6.2 მილიონს მიაღწია, რაც 31%-ით აღემატება 2022 წლის მაჩვენებელს.** თუმცა საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა კვლავ პანდემიამდელ მაჩვენებელზე დაბალია და 2019 წლის მთლიანი მაჩვენებლის 80%-ს შეადგენს. საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის ნელი ტემპით აღდგენა, შესაძლოა, განპირობებული იყოს საქართველოში ტურისტული სერვისების ფასებისა და ხარისხის შეუსაბამობით, განსაკუთრებით თურქეთთან შედარებით.[3]
- **2023 წელს საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი რუსეთიდან განხორციელდა (მთლიანი ვიზიტების 23%).** 10 უმსხვილეს ტურისტულ ბაზარს შორის საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა აღდგა მხოლოდ თურქეთიდან (121%) და ისრაელიდან (106%).
- ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური დაძაბულობის გამო ისრაელიდან ვიზიტების რაოდენობა 2023 წლის IV კვარტალში შემცირდა (წინა წელთან შედარებით 37%-ით). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის მთლიანი რაოდენობა მაინც აჭარბებს პანდემიამდელ დონეს. მოსალოდნელია, რომ 2024 წელს ამ კონფლიქტის გავლენა შემცირდება, რამაც, შესაძლოა, ისრაელიდან ტურისტების ზრდა განაპირობოს საქართველოში.
- **მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს 2019 წელთან შედარებით მთლიანობაში ნაკლები საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა, ვიზიტების ხანგრძლივობა გაზრდილია.** 2023 წელს 2019 წელთან შედარებით საერთაშორისო ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში 1.3 ღამით გაიზარდა და 5.4 ღამე შეადგინა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საერთაშორისო ტურიზმი

საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი და მისი აღდგენა პანდემიამდელ მაჩვენებლის მიმართ



საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 2023 წელს და მისი შედარება პანდემიამდელ მაჩვენებელთან



- **2023 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 4.1 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია**, რაც მნიშვნელოვნად (26%-ით) აღემატება პანდემიამდელ რიცხვს. აღნიშნული ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს 2019 წელთან შედარებით ვიზიტების გაზრდილი ხანგრძლივობით.
- **2023 წელს ყველაზე მაღალი იყო რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი (მთლიანი შემოსავლის 23%). რუსეთს მოსდევდა თურქეთი (15%).** თუმცა, ერთ ვიზიტზე მიღებული შემოსავლის გათვალისწინებით, ყველაზე დიდი მაჩვენებელი აქვთ ისრაელსა (ვიზიტზე 1,420 აშშ დოლარი) და ევროკავშირს (1,302 აშშ დოლარი).
- **2023 წელს საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი დახარჯეს განთავსებაზე (მთლიანი დანახარჯების 36%).** აღსანიშნავია, რომ განთავსების წილი მთლიან დანახარჯებში 2022 წელთან შედარებით 5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამასთანავე, შეინიშნება ტენდენციის ცვლილება საკვებისა და სასმლის წილში, რომელიც ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და ტურისტული დანახარჯების ძირითად კატეგორიას წარმოადგენდა. კერძოდ, 2023 წელს მისი წილი წინა წელთან შედარებით 11 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

*საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რუსეთის მოქალაქეების 30.5%, ბელარუსის მოქალაქეების 42.5% და უკრაინის მოქალაქეების 30.3% შეფასებულია 1 წელზე მეტი ვადით მყოფად, ან საქართველოში 1 წელზე მეტი ვადით დარჩენის მსურველად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით, ისინი განიხილებიან საქართველოს რეზიდენტებად და მათი დანახარჯები საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლის გამოთვლებში არ შედის.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შიდა ტურიზმი

შიდა ვიზიტების რაოდენობა და მათი შედარება წინა წლის შესაბამის პერიოდთან, 2021-2023



შიდა ვიზიტორების განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2023 წელს



- **2023 წელს შიდა ვიზიტების რაოდენობამ 19.2 მილიონი შეადგინა,** რაც 18%-ით მეტია 2022 წელთან შედარებით. თავდაპირველად, შიდა ტურიზმის მზარდ ტენდენციას განაპირობებდა პანდემიით გამოწვეული ცვლილებები. თუმცა 2022 წლის შემდგომი დინამიკა შეიძლება შეცვლილი იყოს, რადგან რუსი, ბელორუსი და უკრაინელი ემიგრანტების დიდი რაოდენობა მოიაზრება არა საერთაშორისო ვიზიტორებად, არამედ რეზიდენტებად.[4]
- **შიდა ვიზიტორების განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2023 წელს წინა პერიოდების მსგავსია.** შიდა ვიზიტორებისთვის ძირითადი დანიშნულების ადგილი იყო თბილისი (მთლიანი ვიზიტების 23%), რასაც მოსდევდა იმერეთი (18%) და აჭარა (10%).
- **2023 წელს ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობამ 1.54 დღე შეადგინა,** რაც 2022 წელთან შედარებით (1.87 ღამე) 18%-ით და 2019 წელთან შედარებით (1.97 ღამე) 22%-ით შემცირებულია, რაც მიანიშნებს 2023 წელს COVID-19-ის შემდეგ გამოკვეთილი ზრდის ტენდენციის ცვლილებაზე.
- **2023 წელს შიდა ვიზიტორების ჯამურმა დანახარჯებმა 3.3 მილიონი ლარი შეადგინა,** რაც 12%-ით მეტია 2022 წელთან შედარებით. 2023 წელს ხარჯების განაწილება წინა პერიოდების მსგავსია. მთლიან დანახარჯებში ყველაზე დიდი ადგილია უკავია საყიდლების (35%), საკვებისა და სასმლის (25%) და ტრანსპორტის (20%) დანახარჯებს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მთის კურორტები საქართველოში





- **მთის კურორტებზე საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა პანდემიამდელ დონესთან შედარებით ჯერ კიდევ არ არის სრულად აღდგენილი (2019 წლის 83%).** აღსანიშნავია, რომ 2023 წლის I კვარტალში ვიზიტების რაოდენობამ პანდემიამდელ დონეს გადააჭარბა, რაც ბაკურიანში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის ღონისძიებითაა განპირობებული.
- **გუდაური ძირითადი მთის კურორტია საქართველოში ჩამოსული უცხოელი მოგზაურებისთვის.** 2023 წელს საქართველოში მთის კურორტებს სულ 447,696 უცხოელი ვიზიტორი ეწვია, მათგან 71%-მა კი გუდაური აირჩია.
- **ბაკურიანი შიდა ვიზიტორებს შორის პოპულარობით პირველ ადგილს იკავებს.** 2023 წელს საქართველოში მთის კურორტებს 324,326 შიდა ვიზიტორი ესტუმრა, მათგან 71%-მა კი ბაკურიანი აირჩია. 2023 წელს მთის კურორტებზე ვიზიტების რაოდენობამ პანდემიამდელ დონეს 21%-ით გადააჭარბა, რაც შიდა ტურიზმისთვის დამახასიათებელ ზრდის ტენდენციას ასახავს.
- **საქართველოს მთის კურორტები მნიშვნელოვანი სეზონურობით ხასიათდება, კერძოდ, მათ ყველაზე მეტი ვიზიტორი წლის პირველ და მესამე კვარტლებში სტუმრობს.** აღსანიშნავია, რომ მესტიაში ვიზიტორთა რაოდენობა ყველაზე მაღალი მესამე კვარტალშია. წლის პირველ კვარტლებში მესტიაში ვიზიტორების დაბალი აქტივობა ძირითადად გამოწვეულია ზამთარში ელექტროენერგიის, ინტერნეტთან კავშირისა და საგზაო ინფრასტრუქტურის პრობლემებთან, რაც ხელისშემშლელია როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ვიზიტორებისთვის.[5]

* COVID-19 პანდემიის გამო 2020 და 2021 წლის მონაცემები ხელმისაწვდომი არაა.
** მთის კურორტების ტურიზმის სრულყოფილი ანალიზისათვის მთის ტრასების სააგენტოსგან (MTA) შესაბამისი მონაცემების მიღება ვერ მოხერხდა.

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

გამყვანი ტურიზმი





- **2023 წელს საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებული გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ 2.2 მილიონი შეადგინა**, რაც 33%-ით მეტია 2022 წელთან შედარებით, ხოლო 5%-ით ნაკლებია 2019 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით.
- **2023 წელს ვიზიტორების თითქმის ნახევარმა დანიშნულების ადგილად აირჩია თურქეთი (43%), რომელსაც მოსდევდა სომხეთი (15%), ევროკავშირი (14%) და რუსეთი (12%).** 2023 წელს ვიზიტების განაწილება დანიშნულების ქვეყნების მიხედვით წინა პერიოდების მსგავსია.
- **გამსვლელი ვიზიტორების დანახარჯებმა 2023 წელს 2.0 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 2%-ით ნაკლებია 2019 წელთან შედარებით.** ცვლილებები შეიმჩნევა დანახარჯების განაწილებაში, კერძოდ, საყიდლების წილი მკვეთრად გაიზარდა (+11 პპ), ხოლო კვების წილი შემცირდა (-8 პპ).
- **2023 წელს საქართველოს მოქალაქეების გასვლითი ვიზიტების უმთავრესი მიზანი იყო საყიდლები (მთლიანი ვიზიტების 35%),** რასაც მოსდევ- და მეგობრების ან ნათესავების მონახულება (32%). 2019 წელთან შედარებით შემცირდა იმ ვიზიტორთა წილი, რომელთაც მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა პროფესიული ვიზიტები (-6 პპ) და მეგობრებისა ან ნათესავების მონახულება (-4 პპ).

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასტუმროს ფასები საქართველოში



- **საქართველოში რეგისტრირებულია 3,198 განთავსების საშუალების მიმწოდებელი,** რომელთა უმეტესობა მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთში (19%), თბილისსა (17%) და აჭარაში (15%).
- **რაც შეეხება <u>სასტუმროების ფასებს საქართველოში</u>, 2023 წლის განმავლობაში სასტუმროების ფასები საქართველოში 2022 წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით მცირდებოდა.** თუმცა კლება ძირითადად 5-ვარსკვლავიან კატეგორიაში ფასების შემცირებამ განაპირობა (საშუალოდ, წინა წელთან შედარებით -4%). დაბალბიუჯეტიანი სასტუმროების საშუალო ფასი კი გაიზარდა, განსაკუთრებით საოჯახო სასტუმროების (9%) და 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების შემთხვევაში (4%).
- **სასტუმროების ფასები საქართველოში საგრძნობი სეზონურობით ხასიათდება**. ფასის მნიშვნელოვანი სეზონური მატება შეიმჩნევა მაისი-სექტემბრის პერიოდში, ხოლო უფრო მცირე მასშტაბით დეკემბერი-მარტის შუალედში.

* შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი).

წყარო: PMC კვლევითი ცენტრი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ეკონომიკური ინდიკატორები HORECA სექტორში

მთლიანი შიდა პროდუქტი HORECA სექტორში



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები HORECA სექტორში



ინვესტიციები HORECA სექტორში 2023 წელს ქვეყნების მიხედვით



HORECA სექტორის ბრუნვა



დასაქმება HORECA სექტორში



ნომინალური საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება HORECA სექტორში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
უმცროსი მკვლევარი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

მარიამ ჯიქია
კვლევითი ასისტენტი (სტაჟიორი)
m.jikia@pmcginternational.com

დამატებითი წყაროები:

1 https://gnta.ge/ge/tourism-sector-meeting/
2 https://bm.ge/news/turizmis-erovnuli-administratsia-2024-tsels-turizmidan-45-mlrd-is-shemosavals-elis-prognozi
3 https://1tv.ge/audio/biznespartniori-ramdenad-konkurentulia-fasebi-saqartvelos-turizmis-seqtorshi-da-sad-aris-mtavari-gamowvevebi-i-22-09-2023/
4 https://pmcg-i.com/publication/sector-and-value-chain-analytics-2022/
5 https://bm.ge/news/gushin-tetnuldis-sabagiroebi-gamortuli-iyo-radgan-deni-ar-gvqonda-rogor-mimdinareobs-sezoni-mestiashi

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org